

თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №3
პერიოდი: ივლისი-დეკემბერი, 2012
აპრილი, 2013
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMI).



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის და ქუთაისის საქალაქო სოსამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №3
პერიოდი: ივლისი-დეკემბერი, 2012
აპრილი, 2013
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე უსუსუსმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

**ავტორები: თინათინ ავალიანი
ეკა ხუციშვილი**

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოფხვაძე
თამარ გვარამაძე**

**მონიტორინგის და კვლევის მარიამ ნიკოლაშვილი
მომზადების პროცესში გიორგი პოპანდოპული
მონაწილეობა მიიღეს საიას ვლადიმერ ბეჰიშვილი
მონიტორებმა: ლევან ვეფხვაძე**



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
ანგარიშის სტრუქტურა	7
I. პრობლემები კონკრეტული საპროცესო	
სტადიების მიხედვით	8
1. პირველი წარდგენის სხდომები	8
1.1. პატიმრობა	12
1.2. გირაო	15
1.3. სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება	19
2. წინასასამართლო სხდომები	21
3. საპროცესო შეთანხმების სხდომები	23
II. ბრალდებულთა ძირითადი უფლებები	27
1. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა	27
2. დაცვის უფლება	30
3. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა	33
4. მიუკერძოებლად საქმის განხილვის უფლება	37
5. დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება	39
6. საჯარო განხილვის უფლება	41
7. თარჯიმნის ყოლის უფლება	44
8. თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება	45
9. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება	45
დასკვნა	46
რეკომენდაციები	48
დანართები	51

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო სხდომების მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს. თავდაპირველად, მონიტორინგის განხორციელება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში დაიწყო, ხოლო 2012 წლის 1 დეკემბრიდან საიამ გააფართოვა მონიტორინგის არეალი და, დღესდღეობით, დაკვირვების პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოშიც ხორციელდება. მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობს იდენტური მეთოდოლოგიის გამოყენებით როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში.¹

მონიტორინგის პირველი ეტაპის (2011 წლის ოქტომბერი – 2012 წლის მარტი) შედეგების პრეზენტაცია საიამ 2012 წლის ივნისში გამართა, როდესაც საზოგადოებას და დაინტერესებულ პირებს სასამართლო მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები წარუდგინა.

წინამდებარე ანგარიში არის რიგით მესამე და მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული 6 თვის მანძილზე საია სულ 428 სხდომას დააკვირდა, აქედან:

- 74 – პირველი წარდგენის სხდომას;
- 78 – წინასასამართლო სხდომას;
- 69 – სასამართლო სხდომას, რომელზეც განიხილებოდა საპროცესო შეთანხმება;
- 207 – არსებითი განხილვის სხდომას.

იმ 428 საქმიდან, რომლებსაც საია აკვირდებოდა, 402 საქმე ეკუთვნის თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო 26 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. შესაბამისად, ანგარიშში მოყვანილი შეფასებები მეტწილად თბილისის საქალაქო სასამართლოს ეხება. რაც შეეხება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ხსენებული 26 საქმიდან თბილისისაგან არსებითად განსხვავებული შედეგები ან ტენდენციები არ გამოკვეთილა. თუმცა, დადებითი კუთხით აღნიშვნის ღირსია ქუთაისის მოსამართლეთა მიერ ბრალდებულთათვის უფლებების განმარტების საკითხი,

¹ საქმეთა რაოდენობის შესაბამისად, ქუთაისში მონიტორინგს ახორციელებს მხოლოდ ერთი მონიტორი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დაკვირვება, მსგავსად წინა პერიოდისა, გრძელდებოდა სამი მონიტორის მიერ.

რომელიც თბილისში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით უკეთესი აღმოჩნდა. კერძოდ, ქუთაისის მოსამართლეები უფრო სრულყოფილად განუმარტავდნენ ბრალდებულებს მათ უფლებებს, ვიდრე ეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ხდებოდა.

მსგავსად წინა პერიოდისა, სასამართლო მონიტორინგის მიზანი, ამ ეტაპზეც, სისხლის სამართლის საქმეებზე გამართული სასამართლო სხდომების დაკვირვების გზით, მათი გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში რეალურად მიმდინარე პროცესის ასახვა და საზოგადოებისათვის გადმოცემაა. წინამდებარე ანგარიშში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებთან ერთად, საია დამატებით წარმოადგენს რეკომენდაციებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გაუმჯობესების მიზნით.

უკანასკნელი მონიტორინგის მანძილზე დაფიქსირდა სასამართლოს გაუმჯობესებული დამოკიდებულება რიგ საკითხებთან მიმართებით, რაზეც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს განსხვავებული მიდგომა ძირითადად დაფიქსირდა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საქმეებში. დროის მოკლე მონაკვეთის გამო, რთულია იმის შეფასება, იყო ეს, ზოგადად, საკითხისადმი დამოკიდებულების ცვლილება თუ სასამართლოს მხრიდან მიკერძოებული მიდგომის გამობატულება ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ. აღნიშნულის დასადგენად, საია მომავალშიც გააგრძელებს ამ კუთხით სასამართლო პროცესების დაკვირვებას და უფრო კონკრეტულ შეფასებებს თავის მომავალ ანგარიშებში გააკეთებს.

მეთოდოლოგია

ანგარიშში წარმოდგენილი მთელი ინფორმაცია მონიტორთა მიერ სასამართლო პროცესების უშუალო დაკვირვების შედეგადაა მოპოვებული. მონიტორინგის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე საიას მონიტორები არ ამყარებენ კომუნიკაციას პროცესის მხარეებთან და ჩვენს მიერ არ ხდება საქმის მასალებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობა. ანალიზი ეფუძნება მხოლოდ სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებაცა და ანალიზიც ხორციელდებოდა საიას გამოცდილი ადვოკატებისა და ანალიტიკოსების მიერ.

მონიტორინგის პერიოდში, მსგავსად წინა საანგარიშო პერიოდებისა, საიას მონიტორები იყენებდნენ სპეციალურად მონიტორინგისათვის შემუშავებულ კითხვარებს, რომელთა მეშვეობით დადგინდა დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და საპროცესო კანონმდებლობასთან.

კითხვარები შეიცავდა როგორც დახურული სახის კითხვებს, სადაც პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ისე ღია კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, განემარტათ სასამართლო სხდომაზე დაკვირვების შედეგები. ამასთან, 2012 წლის ივლისიდან საიას მონიტორები, რიგ შემთხვევებში, ახორციელებდნენ სასამართლო სხდომებზე წარმართული მსჯელობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების სიტყვასიტყვით ჩანერას, რაც მათ დაკვირვებებს კიდევ უფრო მეტ სიცხადესა და თვალსაჩინოებას სძენს. მონიტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეკრიბათ ობიექტური, გაზომვადი მონაცემები და, იმავდროულად, დაეფიქსირებინათ მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი, შესაძლოა, სრულად არ იყოს ასახული კვლევის თანდართული ცხრილის მონაცემებში, თუმცა, საიას მიერ გაკეთებული დასკვნები გამომდინარეობს მონიტორების მიერ მოპოვებული საერთო ინფორმაციის გაანალიზებიდან.

სისხლის სამართლის პროცესის სირთულის გათვალისწინებით, საიას მონიტორები ესწრებოდნენ სისხლის სამართლის საქმეზე ცალკეულ სხდომებს და არ აკვირდებოდნენ ერთ რომელიმე საქმეს მისი დასაწყისიდან დასრულებამდე. გამონაკლისს წარმოადგენდა ე.წ. „მნიშვნელოვანი საქმეები“, რომელთა შერჩევაც, საიას მონიტორებისა და ანალიტიკოსების შეთანხმების შედეგად, პროექტის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ხდებოდა. ამგვარი საქმეების მონიტორინგი მიმდინარეობდა მისი დასაწყისიდან დასასრულამდე, შესაძლებლობის ფარგლებში. ამგვარი საქმეები მოიცავდა უფლებათა აშკარა დარღვევებს, იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ან რაიმე განსხვავებული ნიშნით ხასიათდებოდა. ბოლო მონიტორინგის პერიოდში საია მიჰყვებოდა 38 საქმეს, რომელთაგან: 1 საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით; 1 საქმე – გამამტყუნებელი განაჩენით; 1 საქმე დაიხურა მხარის შუამდგომლობით, სექსობრივი დანაშაულის – გაუპატიურების – მსხვერპლის ინტერესების

დაცვის მიზნით;² 35 კი – მიმდინარეა. აღნიშნული 38 საქმიდან: 15 არის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის საქმე და ისინი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო შევარჩიეთ; 11 საქმე შეეხება იარაღსა და ნარკოტიკულ დანაშაულებს (სადაც ხშირია უფლებათა დარღვევის ფაქტები), დანარჩენი 12 საქმე კი შეეხება მკვლელობის, გაუპატიურებისა და სხვა დანაშაულის შემთხვევებს, რომლებიც გამოირჩეოდა საინტერესო და განსხვავებული გარემოებებით. პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დასრულების შემდეგ, აღნიშნული საქმეების გასაჩივრების შემთხვევაში, მათი მონიტორინგი საიას მიერ სააპელაციო სასამართლოშიც გაგრძელდება.

ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიშში თავდაპირველად წარმოდგენილია საქმის განხილვის სამ საპროცესო სტადიაზე წარმოჩენილი ძირითადი პრობლემური საკითხები, კერძოდ: ბრალდებულთა სასამართლოში პირველად წარდგენის სხდომებზე, წინა სასამართლო სხდომებსა და იმ სხდომებზე, რომლებზეც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა.

ანგარიშის შემდეგი ნაწილი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის ძირითადი უფლებების დარღვევების შეფასებას, მიუხედავად საქმის საპროცესო განხილვის სტადიისა. აღნიშნული უფლებები მოიცავს: საჯარო განხილვის უფლებას; მხარეთა თანასწორობას; თარჯიმნის ყოლის უფლებას; არასათანადო მოპყრობის აკრძალვასა და საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას.

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში იქნა გამოკვეთილი. ამის შემდგომ, ანგარიშში მოცემულია კონკრეტული სახის რეკომენდაციები, რომელთა მიზანი საიას მიერ წარმოებულ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრაა.

საია იმედოვნებს, რომ მონიტორინგის განმავლობაში

² სსსკ-ს 182.3.7^დ მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. სქესობრივი დანაშაულის ან ადამიანითა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით.

მოპოვებული ინფორმაცია და მის საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი დასკვნები ხელს შეუწყობს საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე პროცესებზე უფრო ნათელი სურათის შექმნას და ინფორმაციული იქნება სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებისთვისაც.

I. პრობლემები კონკრეტული საპროცესო სტადიების მიხედვით

წინამდებარე თავში წარმოდგენილია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ის პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელი აღმოჩნდა კონკრეტული ტიპის სასამართლო სხდომებისათვის.

1. პირველი წარდგენის სხდომები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში, სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. ეს „აღკვეთის ღონისძიება“ უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილი აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

სასამართლოს შეუძლია სსსკ-ით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი მეთვალყურეობა.³

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად:

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.

³ სსსკ მუხლი 199.

**დაკვირვებულ სხომებს შორის საინტერესოა გიორგი
კალანდაძის საქმე**

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, გიორგი კალანდაძის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო. ბრალდების მხარემ იმავე საქმეში (სხვა ეპიზოდი) ბრალდებულს დაუმიძიმა ბრალი და სასამართლოს მიმართა აღკვეთი ღონისძიების სახით კვლავ გირაოს შეფარდების მოთხოვნით. სასამართლომ იმ არგუმენტით, რომ იმავე საქმეზე კალანდაძეს უკვე ქონდა შეფარდებული აღკვეთი ღონისძიება, ბრალდების მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

აღნიშნული შემთხვევა საინტერესოა სამართლებრივი თვალსაზრისით, რამდენადაც მსგავსი მაგალითი ჩვენი მონიტორინგის მანძილზე არ დაფიქსირებულა.

ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად:

აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, უნდა იყოს დასაბუთებული. ეს პრინციპი მომდინარეობს სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან და გარანტირებულია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით,⁴ ასევე განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით.⁵

წინა პერიოდების მსგავსად, მონიტორინგის შედეგად აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ ორი სახის გამოყენება დაფიქსირდა: პა-

⁴ სსსკ-ს 194.2 მუხლი აღგენს, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“;

⁵ E.g., *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

ტიმრობა და გირაო. საიას მოსაზრებით, ეს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.

ალკვეთის ღონისძიების პრობლემატურობა განპირობებულია პროკურატურის მიერ წარდგენილი შუამდგომლობებით და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ თავად დაცვის მხარეც ალტერნატიული სახით სხვა სახის ღონისძიების გამოყენებას მხოლოდ იშვით შემთხვევებში ითხოვდა. მაგალითად:

- ჩვენს მიერ დაკვირვებულ საქმეებში 98 ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების განხილვისას დაცვის მხარემ თავდებობა მხოლოდ 2 ბრალდებულის მიმართ მოითხოვა;
- ჩვენს მიერ დაკვირვებული 98 ბრალდებულის საქმიდან, 9 ბრალდებულის შემთხვევაში იყო შესაძლებელი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება ალკვეთი ღონისძიების სახით, ვინაიდან ამ ბრალდებულებს ბრალი ჰქონდათ წაყენებული სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების საფუძველზე, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე (6 ბრალდებულის შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი⁶; 2 შემთხვევაში 120-ე მუხლი⁷; ერთ შემთხვევაში 381 პრიმა მუხლი⁸). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლის თანახმად, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით. არც ერთ ჩვენს მიერ დაკვირვებულ ამ შემთხვევაში არც ბრალდების მხარეს და არც დაცვის მხარეს არ მოუთხოვია გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება. არც სასამართლოს არ უმსჯელია მისი შეფარდების თაობაზე.

⁶ სსკ 273-ე მუხლი, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პროკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება.


⁷ სსკ 120-ე მუხლი ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

⁸ სსკ 381 პრიმა მუხლი, დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღკვეთის ღონისძიებად გირაოსა და პატიმრობის გამოყენების სტატისტიკა შემდეგნაირია:

- პირველი წარდგენის 74 სხდომიდან 1 სხდომა დაიხურა, 73 სხდომაზე კი, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე 98 ბრალდებულთან მიმართებით იმსჯელა. აღნიშნული 98 შემთხვევიდან 37%-ში სასამართლო აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას იყენებდა, ხოლო 63%-ში – გირაოს. არც ერთ ბრალდებულს არ შეფარდება გირაოსა და პატიმრობის გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება.
- წინა მონიტორინგებთან შედარებით, ბოლო საანგარიშო პერიოდში პროკურორის მიერ წარმოდგენილი აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობებთან მიმართებით სასამართლოს მხრიდან შედარებით ნაკლები ხარისხის მიკერძოებას ჰქონდა ადგილი. მონიტორინგის განხორციელების მანძილზე პირველად დაფიქსირდა შემთხვევები, როცა სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას. კერძოდ, სასამართლომ 13 ბრალდებულს შეუფარდა გირაო, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე პატიმრობას ითხოვდა. აღსანიშნავია, რომ ცამეტივე შემთხვევა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაფიქსირდა და აქედან 10 ბრალდებული ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი იყო.
- ამას გარდა, საიას მოსაზრებით, შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, 98-დან 31 შემთხვევაში - 19 გირაო და 12 პატიმრობა - (32%), სავარაუდო სასჯელთან, დანაშაულის სიმძიმესა და სხვა ფაქტორებთან (ბრალდებულის პიროვნება, ოჯახური და ფინანსური მდგომარეობა, მიყენებული ზიანი, მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე და სხვა) მიმართებით არაპროპორციული იყო. საიას რწმენით, მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიება ყოველ საქმეში ინდივიდუალური გარემოებების შესწავლის შედეგად უნდა განსაზღვროს და, ამასთან, უნდა იხელმძღვანელოს საერთო მიდგომით ეფექტური მართლმსაჯულების ინტერესების შესაბამისად.
- პირველი წარდგენის 98 შემთხვევიდან, როდესაც ბრალდებამ მოითხოვა გირაოსა თუ პატიმრობის შეფარდება, შემთხვევათა მხოლოდ 18%-ში დაასაბუთა სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეუწონლობა.

- პირველი წარდგენის სხდომებზე დაყენებული 98 შუამდგომლობიდან 61 შემთხვევაში, ბრალდების ძირითად არგუმენტს „დანაშაულებრივი ქმედების მოსალოდნელი გაგრძელება“ წარმოადგენდა. აღნიშნული 61 შუამდგომლობის 64%-ში ბრალდებამ ვერ წარმოადგინა თავისი არგუმენტის დასაბუთება.
- 45 შემთხვევაში, ბრალდების ძირითად არგუმენტს „მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა და მტკიცებულებათა განადგურება“ წარმოადგენდა, თუმცა, 45-დან მხოლოდ ხუთ შემთხვევაში შეძლო ბრალდებამ კონკრეტული ფაქტების წარმოდგენა აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად.



1.1. პატიმრობა

პატიმრობა არის პირის თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, მისი გამოყენება, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, უნდა განვიხილოთ ინდივიდის თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლებასთან კავშირში, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა.

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით¹⁰ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.¹¹

ზემოაღნიშნული პუნქტების მიხედვით, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე აღკვეთის ღონისძიების სახით პირისათვის პატიმრობის შეფარდების საფუძვლებს წარმოადგენს: ა) პირის მიმალვის საფრთხე;

⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“; იმავე მუხლის მე-2 ნაწილი: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე“;

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლი: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

- ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის კანონიერი დაპატიმრება;
- ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მისწევლია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;
- დ) არასრულწლოვნის დაკავება კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით;
- ე) ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, პირების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მაწანწალების კანონიერი დაკავება;
- ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით“.

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.1: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ თავიდან იქნეს აცილებული:

- ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
- ბ) მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
- გ) ახალი დანაშაულის ჩადენა“.

ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. შეფარდებული პატიმრობის პროპორციულობის პერიოდული გადახედვა ასევე წარმოადგენს თავისუფლების ხელშეუხებლობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით,¹² ისე შიდა საპროცესო კანონმდებლობით.¹³ ეს პრინციპი მომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში, სავალდებულოა პატიმრობის კანონიერების დროდადრო გადასინჯვა, ხოლო უარი ასეთი შუამდგომლობის განხილვაზე თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ქრილში განიხილება.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლე პატიმრობის შეფარდებისას, უმეტესწილად, არ ასაბუთებდა პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას და პროკურორისგანაც იშვიათად ითხოვდა პატიმრობის შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებას. ბრალდების მხრიდან ამ სახის შუამდგომლობის წარმოდგენისას, სახელდებოდა ძირითადად ერთი და იგივე არგუმენტები და ისიც მხოლოდ იშვიათად საბუთდებოდა. შედეგად, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი იყო.

აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს იმ საქმეების სტატისტიკური მონაცემებიდან, რომელთა დაკვირვებასაც საია ახორციელებდა:

- 49 შემთხვევიდან, სადაც ბრალდების მხარემ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, 36 შემთხვევაში (73%) სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი 13 შემთხვევიდან, სადაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების თაობაზე, ათი ბრალდებული იყო ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი, რომელთა სისხლისსამართლებრივი დევნაც

¹² *Jėčius v. Lithuania*; *The Right to Liberty and security of the Person, A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights*, Monica Macovei, *Human rights handbooks*, No.5, Council of Europe, p.60-61.

¹³ სსსკ, მუხლი 206.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო;

- პირველი წარდგენის 36 სხდომიდან, სადაც მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა გამოიყენა, 50%-ში არ იყო დასაბუთებული აღნიშნული გადანყვეტილება.
- საქმეთა გარკვეულ რაოდენობაში აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენება აშკარად ზედმეტად მძიმე ზომა იყო.

აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების მაგალითები

- 3 შვილის მარტოხელა დედას ბრალი ედებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის – ქურდობის ჩადენაში (სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) მუხლი 177.2.ა). მიუხედავად იმისა, რომ ზიანი მხოლოდ 152 ლარს შეადგენდა, ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა.
- მცირეწლოვანი შვილის მარტოხელა დედას, რომელსაც ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის – თაღლითობის (სსკ მუხლი 180.2.ბ) ჩადენაში, შეეფარდა პატიმრობა მიუხედავად იმისა, რომ ზიანი მხოლოდ 800 დოლარს შეადგენდა.
- დიაბეტით დაავადებულ 67 წლის ბრალდებულს, რომელსაც ბრალად ედებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა – ყალბი დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში (სსკ 362.1) 4 ეპიზოდად, ამასთან, აღიარებდა დანაშაულს და თანამშრომლობდა გამოძიებასთან, შეეფარდა პატიმრობა.
- მცირეწლოვანი შვილის მარტოხელა მამას, რომელსაც ბრალად ედებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება (სსკ მუხლი 236.1,2), ამასთან, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პატიმრობა შეეფარდა.

1.2. გირაო

გირაო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს გამოძიებას. გირაოს შეფარდებისას, ბრალდებულს იხდის

კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ გაათავისუფლდეს საქმეზე საბოლოო განაჩენის დადგომამდე.

გირაოზე, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ სახეზე, ვრცელდება ყველა ის ვალდებულება, რომლებსაც საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს ადგენს. ამდენად, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა, ხოლო სასამართლომ, თავის მხრივ, მხედველობაში უნდა მიიღოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის: ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა შესაბამისი გარემოებები. სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს ზემოხსენებული გარემოებები მაშინაც, თუკი პროკურორი არ წარმოადგენს აღნიშნულ ინფორმაციას. გარდა ამისა, დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარმოადგინოს ინფორმაცია ზემოხსენებული გარემოებების შესახებ, რადგან აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობისა და მიზანშეწონილობის მტკიცება პროკურორს ევალება.¹⁴

ამდენად, გირაოს გამოყენების პროპორციულობა მისი გამოყენების დასაბუთებაზეა დამოკიდებული.

გამოვლენილი შედეგები

გირაოს დასაბუთება, რაც, საიას მოსაზრებით, საკმარისად ჩაითვლებოდა, გამოვლინდა მისი გამოყენების შემთხვევების თითქმის ნახევარში (62-დან 37 შემთხვევა), სადაც ბრალდებამ უზრუნველყო ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის დადასტურება. ასეთ დროს, საიასაზრით, საკმარის დასაბუთებად მიიჩნევა გარემოება, როდესაც ბრალდებული ეთანხმება გირაოს სახით მოთხოვნილ თანხას. აღნიშნულ 37 შემთხვევაში სასამართლოს წინაშე აღარ დამდგარა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის დამატებით დადგენის საჭიროება. მაშინ როცა დანარჩენ 25 შემთხვევიდან სასამართლომ მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოარკვია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, იმ ფონზე როცა აღნიშნულზე არ მიუთითებდა არც ბრალდების და არც დაცვის მხარე.

¹⁴ სსსკ-ს 200.2 მუხლის თანახმად, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე სახეს ითვალისწინებს (მაგალითად, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება), იმ საქმეებიდან, რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ, არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა აღკვეთის ღონისძიების ზემოთ ჩამოთვლილი სახეების გამოყენება. არადა, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ რომელიმე მათგანის გამოყენება სავსებით გონივრულ ღონისძიებად ჩაითვლებოდა.

სასამართლოს მიერ შეფარდებული გირაოს თანხა, ძირითადად, პროკურორის მოთხოვნის იდენტური იყო. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, ის ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობისა და ბრალად წარდგენილი დანაშაულის არაპროპორციული იყო, მაგალითად:

- იმ შემთხვევათა 78%-ში, სადაც ბრალდებამ გირაოს შეფარდება მოითხოვა (49-დან 38 შემთხვევა), სასამართლოს მიერ შეფარდებული გირაოს თანხა პროკურორის მოთხოვნის იდენტური იყო;
- სასამართლომ 49-დან მხოლოდ 13 შემთხვევაში (27%) გამოიყენა გირაო მაშინ, როდესაც პროკურორი პატიმრობას ითხოვდა. აღნიშნული 13 შემთხვევიდან ათი ბრალდებული (77%) ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი იყო. აღსანიშნავია, რომ არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა მონიტორინგის განხორციელების წინა პერიოდის (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე) განმავლობაში.
- პირველი წარდგენის სხდომებზე, 62-დან 37 შემთხვევაში (59%), მოსამართლემ დაასაბუთა გირაოს გამოყენება. პროკურატურამ მხოლოდ ამ 37 საქმეში წარმოუდგინა სასამართლოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის დასაბუთება. სასამართლომ ყველა შემთხვევაში გამოიყენა გირაო, როდესაც ამას პროკურორი ითხოვდა, გარდა ერთი გამონაკლისისა, რომელიც ერთ-ერთი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირს შეეხებოდა და იმავე საქმეში (სხვა ეპიზოდში) უკვე შეფარდებული ჰქონდა გირაო.
- ამასთან, პროკურორის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული გირაო, ხშირ შემთხვევაში, შეუფერებლად დიდი ოდენობის იყო [იხილეთ ჩარჩოში წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითები].

აღკვეთის ღონისძიებად გირაოს გამოყენების მაგალითები

- სოციალურად დაუცველ ბრალდებულებს, რომლებიც ელიავას ბაზრობაზე მუშაობდნენ და ბრალად ედებოდათ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა – ხულიგნობა (სსკ მუხლი 239.2.ა), გირაოს სახით შეეფარდათ 5000 ლარი, რომლის გადახდის არავითარი პერსპექტივა ბრალდებულებს არ ჰქონდათ;
- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის – პირადი მოხმარებისათვის მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვა და ცივი იარაღის ტარება (სსკ მუხლი 273 და 238¹.1) – ბრალდებულს შეეფარდა გირაო 25 000 ლარის ოდენობით, რაზეც ბრალდებულის ადვოკატმა მკვეთრი პროტესტი გამოთქვა, თუმცა – უშედეგოდ.
- კიდევ ერთ საქმეში, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ, სსკ მუხლი 353.1), ავადმყოფი დედის ერთადერთ მარჩენალ ბრალდებულს შეეფარდა გირაო 7000 ლარის ოდენობით.
- სოციალურად დაუცველ ბრალდებულს მძიმე დანაშაულის – თაღლითობის (სსკ მუხლი 180.2.ა.ბ) – სავარაუდო ჩადენისთვის შეეფარდა გირაო 35 000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაფიქსირდა ორი განსხვავებული და პოტენციურად დადებითი ცვლილება გირაოსთან მიმართებით:

- წინა მონიტორინგის მონაცემებით, მოსამართლე არასოდეს იყენებდა გირაოს, თუ ამას ბრალდება არ ითხოვდა, ხოლო როდესაც ბრალდება ითხოვდა გირაოს გამოყენებას, სასამართლო ბრალდებულს ყოველთვის უფარდებდა მოთხოვნილი თანხის *იდენტურ* ოდენობას. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი დაფიქსირდა შეცვლილი სურათი: 13 ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიყენა გირაო მაშინ, როდესაც პროკურორი პატიმრობის შეფარდებას

ითხოვდა. მათგან 10 ბრალდებული ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი იყო.

- ამასთან, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სასამართლომ 11 ბრალდებულს შეუფარდა იმაზე ნაკლები ოდენობის გირაო, ვიდრე პროკურორი ითხოვდა. აღსანიშნავია, რომ ამ 11-დან მხოლოდ 1 ბრალდებული იყო ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი.

ამრიგად, მიუხედავად პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნისა, სასამართლო ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებს უფარდებდა გირაოს, თუმცა, რთულია იმაზე მსჯელობა, სასამართლოს ლობიერი მიდგომა გამონეწეული იყო ბრალდებულთა თანამდებობრივი მდგომარეობით წინა მთავრობაში, თუ ეს, ზოგადად, ასახავდა სასამართლოს შეცვლილ მიდგომას არჩევნების შემდეგ. ამის დადგენა მომავალში განგრძობითი დაკვირვების შემდეგ იქნება შესაძლებელი. სასამართლოს პოტენციურად შეცვლილი დამოკიდებულების უკეთ შესაფასებლად, საია განსაკუთრებული ინტერესით დააკვირდება სასამართლო პროცესის ამ ასპექტს.

1.3. სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება

პირველი წარდგენის სხდომების მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოვლინდა პროცედურული პრობლემა, რომელიც საქმის საჯარო განხილვის უფლებას უკავშირდებოდა.

ბრალდებულის უფლება სასამართლოში საჯარო განხილვაზე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,¹⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით¹⁶ და საქართველოს სისხლის სამართლის

¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი: „სასამართლოში საქმე განხილვება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“.

¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.1: „[...] სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება

საპროცესო კოდექსით.¹⁷

საჯარო განხილვის უფლებით ეფექტურად სარგებლობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ საზოგადოების დასწრება სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე; საზოგადოებას ასევე უნდა ჰქონდეს უფლება, წინასწარ იყოს ინფორმირებული საქმის შესახებ, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაესწროს მის განხილვას. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, უზრუნველყოს საქმის განხილვის თარიღის, ადგილის, ბრალდებულის სრული სახელისა და გვარის და ბრალად წაყენებული მუხლების წინასწარ გამოქვეყნება.

გამოვლენილი შედეგები

74 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან, რომელთაც საია დააკვირდა, სასამართლოს არც ერთი სხდომის შესახებ ინფორმაცია წინასწარ საჯაროდ არ გამოუქვეყნებია.

აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია მონიტორინგის დასაწყისიდან, 2011 წლის ოქტომბრიდან, ფიქსირდება. მიუხედავად საიას აქტიურობისა და ამ პრობლემის შესახებ მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა ინფორმირებისა, სამწუხაროდ, მდგომარეობა უცვლელი რჩება. აღსანიშნავია სასამართლოს არგუმენტი ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომები იმართება ბრალდებულის დაკავებიდან მოკლე ვადებში და აღნიშნულ ხარვეზს სწორედ ამ მიზეზით წარმოშობილი ტექნიკური პრობლემები განაპირობებს. საიას მოსაზრებით, ასეთი პოზიცია ნამდვილად ვერ ჩაითვლება საჯარო განხილვის უფლების უხეში დარღვევის გამართლებად.

არ დაიშვას სასამართლო განხილვის მოელ ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს”.

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, მუხლი 10.1: „სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.” იმავე მუხლის მე-2 ნაწილი: „სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ”.

2. წინასასამართლო სხდომები

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო განიხილავს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს, რომელიც შემდგომში უნდა იყოს განხილული. აღნიშნული სტადია არსებითად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განაჩენი ეყრდნობა დასაშვებად ცნობილ მტკიცებულებებს, რომლებსაც შემდგომ გამოიკვლევს სასამართლო.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ შუამდგომლობებზე უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუყვებელი ნებისმიერი მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლება, რომ მისი საქმე განხილულ იქნეს მიუყვებელად, აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

გამოვლენილი შედეგები:


წინასასამართლო სხდომების სტატისტიკური მონაცემები ბადებს კითხვას სასამართლოს მიუყვებლობასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის უფლებასთან – მისი საქმე განხილულ იქნეს მიუყვებელად.


მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლომ ამჯერადაც დააკმაყოფილა პროკურორის აბსოლუტურად ყველა, 74-ვე შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ 9 მათგანს დაცვის მხარე ეწინააღმდეგებოდა. საიას მიერ განხორციელებული მთელი მონიტორინგის მანძილზე (2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი 191 შუამდგომლობიდან მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, დაკმაყოფილდა 191-ვე, მიუხედავად იმისა, რომ 23 შემთხვევაში მას დაცვა ეწინააღმდეგებოდა.

ბოლო მონიტორინგის განმავლობაში დაფიქსირდა ასევე სასამართლოს მხრიდან დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა შესახებ შუამდგომლობების დაკმაყოფილების ტენდენცია, რაც შესამჩნევი ცვლილებაა წინა მონიტორინგის მაჩვენებლებთან შედარებით. მონიტორინგის ამ პერიოდში სასამართლომ დაცვის 22 შუამდგომლობიდან 22-ვე დააკმაყოფილა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ 22 შუამდგომლო-

ბიდან სასამართლომ ერთი დააკმაყოფილა იმის მიუხედავად, რომ მას პროკურორი წინააღმდეგობოდა. ეს შემთხვევა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაფიქსირდა. თუმცა, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება, დაცვის შუამდგომლობების დაკმაყოფილება სასამართლოს დამოკიდებულების არსებითი ცვლილებაა თუ – არა. საიას მთელი მონიტორინგის მანძილზე, დაცვის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ დაყენებული 51 შუამდგომლობიდან მხოლოდ 45 დაკმაყოფილდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საიას მთელი მონიტორინგის მანძილზე სასამართლომ შვიდიდან ექვს შემთხვევაში დააკმაყოფილა პროკურორის წინააღმდეგობა დაცვის შუამდგომლობებთან დაკავშირებით. ეს წარმოადგენს 86%-იან წარმატებას პროკურორის შვიდი წინააღმდეგობისთვის დაცვის შუამდგომლობებთან მიმართებით, მაშინ როდესაც დაცვას 0%-იანი წარმატება ჰქონდა, მიუხედავად თავისი 23 წინააღმდეგობისა პროკურორის შუამდგომლობებთან მიმართებით.





3. საპროცესო შეთანხმების სხდომები

საპროცესო შეთანხმება არის სამართალწარმოების დაჩქარებული სახე, რომლის დროსაც დაცვისა და ბრალდების მხარეს შორის ფორმდება შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე, ბრალის აღიარებით ან მის გარეშე.

სსსკ-ის 213 მუხლის მიხედვით, მოსამართლე ამონებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება და სამართლიანია თუ არა პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში აღნიშნული სასჯელი.¹⁸

სასჯელის სამართლიანობაში დასარწმუნებლად მოსამართლემ ყოველი კონკრეტული გარემოების შესაბამისად უნდა იმსჯელოს, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი¹⁹. კანონმდებლობით

¹⁸ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობით, მოსამართლეს იგივე ვალდებულება ეკისრება.

http://www.law.cornell.edu/rules/frcrmp/rule_11. The American Bar Association's model standards for plea agreements envisage the same obligations

http://www.americanbar.org/publications/criminal_justice_section_archive/crimjust_standards_guiltypleas_blk.html#3.3

¹⁹ სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ), მუხლი 53.

პირდაპირ არ არის განსაზღვრული, რა სახით და ფორმით შეიძლება სასჯელის სამართლიანობაში დარწმუნება. თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მაგალითად ჯარიმის შეფარდებისას მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორი ქონებრივი მდგომარეობა აქვს ბრალდებულს; რამდენად შეძლებს იგი შეფარდებული ჯარიმის გადახდას; რამდენად შეესაბამება შეფარდებული ჯარიმის ოდენობა მიყენებულ ზიანს, დანაშაულის ჩადენის გარემოებებს და საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელის ზომას. ამასთან, კანონის თანახმად, წინასასამართლო სხდომამდე მოსამართლეს შეუძლია მხარეებს შესთავაზოს შეცვლილი პირობებით საპროცესო შეთანხმების გაფორმება²⁰. აღნიშნულით კანონი მოსამართლეს, შეზღუდულად და წარმოების მხოლოდ ერთ სტადიაზე, მაგრამ მაინც, გარკვეულ ბერკეტს ანიჭებს, რომ მოახდინოს გავლენა სასჯელის სამართლიანობაზე.

გამოვლენილი შედეგები:

მიუხედავად სასამართლოზე დაკისრებული ვალდებულებისა, საპროცესო შეთანხმებების განხილვის დროს გამოვლინდა მოსამართლის პასიური როლი. საპროცესო შეთანხმების დადება იმ საქმეებზე, რომლებსაც საია მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა, თითქმის ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობდა და საერთოდ არ ხდებოდა შეთანხმების კანონიერებისა და სამართლიანობის დადგენა.

მოსამართლის პასიურობა თვალსაჩინოა იმ ფონზე, როდესაც მან დაამტკიცა ყველა საპროცესო შეთანხმება და არც ერთ საქმეში არ დაინტერესებულა სასჯელის სამართლიანობით. 69 საპროცესო შეთანხმების სხდომიდან, სასჯელის

²⁰ სსსკ-ს 213.5 მუხლის თანახმად, თუ წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე იხილება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დაზარალებული საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარდგენილია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. სასამართლო პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს.


სამართლიანობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ სხდომაზე გაიმართა მსჯელობა, სადაც მოსამართლე მხოლოდ საპროცესო ფორმლობით შემოიფარგლა და ბრალდებულს ჰკითხა, ეთანხმებოდა თუ არა პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას. მოსამართლეს მეტი კითხვა – ბრალდებულის მდგომარეობის გამოსარკვევად და სასჯელის სამართლიანობის დასადგენად – არ დაუსვა.

საიას დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- 69 სხდომიდან, რომლებზეც საპროცესო შეთანხმება განიხილებოდა, მოსამართლემ ყველა შემთხვევაში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება;
- 69 საპროცესო შეთანხმებიდან, სასამართლომ ყველა დაამტკიცა სასჯელის სამართლიანობის შესახებ მსჯელობის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვები არც მოსამართლეს დაუსვა;
- მოსამართლემ ზემოაღნიშნული 69 საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოასწორა პროკურორის სამართლებრივი ხარვეზი საპროცესო შეთანხმებაში, შეკრიბა სასჯელები, შეიტანა ცვლილებები და მიუთითა ჩასწორებაზე;²¹
- დადგინდა, რომ 69 საპროცესო შეთანხმებიდან 47 შემთხვევაში (68%) ბრალდებულს დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა. შეფარდებულმა ჯარიმებმა მთლიანობაში 474 000 ლარი შეადგინა, რაც საკმაოდ დიდი ოდენობაა მხოლოდ 47 საქმის გათვალისწინებით. მართალია დაკვირვებულ საქმეთა მცირე რაოდენობის გამო, რთულია მასშტაბური შეფასებების გაკეთება, თუმცა, აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა საპროცესო შეთანხმებების გაფორმების ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსულობების ზრდა იყოს;
- 47 საქმეში სულ 52 ბრალდებულის მიმართ იქნა გამოყენებული ჯარიმა, საიდანაც თითოეულს საშუალოდ 9,115 ლარი შეეფარდა. შეფარდებული ჯარიმებიდან მაქსიმალური ოდენობა 100 000 ლარი იყო, მინიმალური კი — 500.²²

²¹ მოსამართლემ საპროცესო შეთანხმებაში ცვლილება შეიტანა მხარეთა ნებართვით, როგორც ამას სსსკ-ს 213.6 მუხლი ითვალისწინებს.

²² სსკ-ს 42.2 მუხლის თანახმად ჯარიმის მინიმალური ოდენობა 2000 ლარია,



თუმცა სასამართლოს შეუძლია უფრო ნაკლები ოდენობის ჯარიმის შეფარდება კონკრეტულ შემთხვევებში. საიამ დააფიქსირა 2000 ლარზე ნაკლები ოდენობის ჯარიმის შეფარდება 3 შემთხვევაში, თუმცა, არც ერთხელ წარმოდგენილი არ ყოფილა ჯარიმის შემცირების საფუძველი.

II. ბრალდებულთა ძირითადი უფლებები

წინამდებარე თავში მოცემულია ის პრობლემები, რომლებიც გამოვლინდა ბრალდებულთა კონკრეტულ უფლებებთან კავშირში. წინა თავში განხილული საკითხებისგან განსხვავებით, აღნიშნული პრობლემები დამახასიათებელი არ არის კონკრეტულად რომელიმე საპროცესო სტადიისთვის.

1. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპს, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლებით.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეებს სამართალწარმოებისას თანასწორი უფლებები გააჩნიათ და საქმის მსვლელობისას თანაბარ პირობებში იმყოფებიან.²³ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, მოსამართლემ მხარეებს თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას და მტკიცებულებათა გამოკვლევისთვის თვითონ არ უნდა ჩაერიოს მასში. გარდა ამისა, მოსამართლე არ უნდა გასცდეს ბრალდების ფარგლებს და უნდა მოექცეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ პოზიციის ჩარჩოებში.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, როდესაც ბრალდებას სახელმწიფო რესურსი და ძალაუფლება გააჩნია, ხოლო დაცვის მხარე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

²³ იხილეთ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.6: “ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვს ბრალდებულის მოწმეებს.” აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.3: “ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი: [...] d) დაკითხონ ან დაკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეთა თანაბარ პირობებში”.

გამოვლენილი შედეგები

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ასპექტში იჩენს თავს. ის მოიცავს მოქმედებას ან უმოქმედობას მოსამართლის, ბრალდებისა და დაცვის მხრიდან. ამ განსხვავებულ ფაქტორებზე საიას დაკვირვების შედეგები ასე გამოიყურება:

- მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებით ახერხებდნენ სასამართლო დარბაზში სიტუაციის გაკონტროლებას და მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფას. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არ ერეოდნენ მონშეთა დაკითხვაში და არ სცდებოდნენ ბრალდების ფარგლებს.
- 207 არსებითი განხილვის სხდომიდან, რომელსაც საია აკვირდებოდა, მონშეთა დაკითხვა 64 სხდომაზე მოხდა. ამ 64 სხდომიდან 11 შემთხვევაში მოსამართლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მონშეთა დაკითხვის პროცესში:
 - ✓ აღნიშნული 11 სხდომიდან 4 შემთხვევაში მოსამართლემ მხარეთა ნებართვით დასვა კითხვები, როგორც ამას სსსკ-ს 25.2 მუხლი მოითხოვს.
 - ✓ შვიდ შემთხვევაში მოსამართლემ დაარღვია სსსკ-ს მოთხოვნები და მხარეთა ნებართვის გარეშე დასვა კითხვები; ამ შვიდიდან ორ შემთხვევაში მოსამართლემ დასვა შვიდ-შვიდი შეკითხვა. ამ 7 საქმიდან არც ერთ სხდომაზე მხარეებს არ გამოუთქვამთ პროტესტი სსსკ-ს მოთხოვნების დარღვევის გამო.
- 428 სხდომიდან სამ შემთხვევაში (ერთი პირველი წარდგენის სხდომა, ერთი წინასასამართლო სხდომა და ერთი არსებითი განხილვის სხდომა) მოსამართლე აშკარად შეიჭრა პროკურორის უფლებამოსილებაში, კერძოდ:
 - ✓ წინასასამართლო სხდომაზე: მოსამართლემ მიანიშნა პროკურორს დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლისკენ. ბრალდებულს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო შეძენა და გასაღება. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალი უნდა დამძიმებულიყო ნივთიერების დიდი ოდენობის გამო: „ჩემდა ვასაკვირად, 1-ლი ნაწილით წარგიდგინეს ბრალი, მაშინ როცა მე-2 ნაწილით უნდა წარედგინათ, იმი-

ტომ, რომ ეს ოდენობა უკვე მეორე ნაწილია, მაგრამ სასამართლო ვერაფერს იზამს, არადა მე-2 ნაწილით უნდა წარედგინათ”. საიამ ვერ შეძლო იმის დადგენა, დაუძძი-მა თუ არა პროკურორმა ბრალდებულს ბრალი.

- ✓ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულს ბრალი ედებოდა თაღლითობაში – სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. ბრალდებულმა დაზარალებულისაგან მაღალი პროცენტით ისესხა ფული და უკან დაბრუნება ვეღარ მოახერხა. მოსამართლემ მიანიშნა პროკურორს, რომ დაზარალებულიც მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში. მოსამართლე: „თავად ეს პირი [დაზარალებული] დარეგისტრირებულია, რომ [თანხას] ასესხებს? პროკურორი: „არა“. მოსამართლე: „მერე თვითონ არ არის პასუხისგებაში მისაცემი?! 20% არც ერთ საბაზრო ჩარჩოში არ ჯდება“. პროკურორი: „მივაქცევთ ამას ყურადღებას“. საიამ ვეღარ მოახერხა იმის დადგენა, იქნა თუ არა მსხვერპლი მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.
- ✓ არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ პროკურორს მიუთითა: „მოკლედ ჩამოაყალიბეთ საკითხი, რა არის მითითებული და დასკვნა“, იქვე სთხოვა, რომ მცირე დროში ჩატეულიყო. შესაბამისად, პროკურორი კითხულობდა მხოლოდ მტკიცებულებათა სათაურებს, ორი სიტყვით გადმოსცემდა, თუ რა ეწერა დოკუმენტში და, იშვიათად, ასახელებდა დოკუმენტის შემდგენის ვინაობას და თარიღს.
- დაკვირვების შედეგად, მხარეთა აქტიურობის თვალსაზრისით, თვალშისაცემი განსხვავება გამოვლინდა, რაც საბოლოო ჯამში მხარეთა შეჯიბრებითობაზე არსებით გავლენას ახდენს. კერძოდ, დაცვის მხარე, ბრალდების მხარესთან შედარებით, მტკიცებულებათა წარდგენის დროს შესამჩნევად პასიური იყო. 74 წინასასამართლო სხდომიდან, რომლებსაც საია აკვირდებოდა, ბრალდებამ ყველა სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, მაშინ, როდესაც დაცვამ მხოლოდ 22 შემთხვევაში დააყენა ასეთი შუამდგომლობა.

2. დაცვის უფლება

ბრალდებულის დაცვის უფლება ნარმოადგენს უმნიშვნელო განეს გარანტს სისხლის სამართალწარმოების დროს, რომელიც გათვალისწინებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის სავალდებულო დაცვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულისა და მისი უფლებების დაცვის განხორციელება, შესაძლოა, გარკვეულ რისკებს შეიცავდეს. მაგალითად, ეს ეხება საქმეებს, სადაც ბრალდებული არ ფლობს სამართალწარმოების ენას, ან მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე, ანდა, როდესაც ბრალდებული ფიზიკურად/გონებრივად შეზღუდულია, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი თავის დაცვის განხორციელებას.²⁴

დაცვის უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის, საჭიროა, დაცვას გააჩნდეს ადეკვატური დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად. გარდა ამისა, ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი ყველა შესაძლო კანონიერი გზით უნდა შეეცადოს თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დაცვას.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დაცვის უფლება საქმეთა უმრავლესობაში დაცული იყო და, სავალდებულო დაცვის შემთხვევებში, ადვოკატი ძირითადად უზრუნველყოფილი იყო.

მიუხედავად ამისა, გამოვლინდა დაცვის უფლების დარღვევის გარკვეული შემთხვევები, რომლის დროსაც ადვოკატი

²⁴ სსსკ-ის მუხლი 45: „სავალდებულოა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი:

- ა) თუ არასრულწლოვანია;
- ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ე) თუ წადენილი ქმედებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უფადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. [...]”

პასიურობას იჩენდა და არ იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას ბრალდებულის ინტერესის ჯეროვნად დასაცავად. ამასთან, ხშირად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მთელი საადვოკატო ტაქტიკა საპროცესო შეთანხმების დადებისკენ იყო მიმართული და ადვოკატები ყველანაირად ცდილობდნენ, ბრალდების მიმართ არავითარი წინააღმდეგობა არ გამოეხატათ.

საპროცესო შეთანხმების დადების სურვილი ვერ ამართლებს დაცვის უფლების შეზღუდვას. ადვოკატის პასიურ როლთან ერთად, დაცვის უფლების შეზღუდვა გამოვლინდა ასევე მოსამართლის არაგულისხმიერი დამოკიდებულებით ბრალდებულის მიმართ.

პრობლემის თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით, ქვემოთ მოყვანილია მაგალითები:

- დაცვის უფლების უხეში დარღვევა დაფიქსირდა წინასასამართლო სხდომაზე. გაურკვეველი მიზეზით, ადვოკატი პროცესზე არ გამოცხადდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს ბრალი ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მოსამართლემ, ფაქტობრივად, დაავალდებულა ბრალდებული, თავად დაეცვა საკუთარი ინტერესები, მაშინ, როდესაც ბრალდებულს აშკარად უჭირდა პროცესის დეტალებში გარკვევა.
- ერთ-ერთ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ, ადვოკატი კარნახობდა: „ვცნობ“. ბრალდებული ჯერ ჩუმად იყო და ჭოჭმანობდა, შემდეგ კი თქვა: „რომ იცოდეთ, რა კომპრომისზე მივდივარ!“ ამ დროს ადვოკატი კვლავ განაგრძობდა კარნახს: „ვცნობ, ვცნობ“. საბოლოოდ, ბრალდებულმა განაცხადა, რომ თავს ცნობდა დამნაშავედ. ამის შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, რომ აპირებდნენ საპროცესო შეთანხმების დადებას არსებითი განხილვის სხდომაზე, თუმცა, შეთანხმება ჯერ არ იყო მიღწეული. მოსამართლეს ამ ყველაფერზე რეაგირება არ მოუხდენია.
- ერთ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს მოსამართლემ ჰკითხა, ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ, ბრალდებული თავისი პასუხით, ფაქტობრივად, უარყოფდა დანაშაულის ჩადენას. ამ დროს კი, ადვოკატი მას აღიარებისკენ მოუწოდებდა. როდესაც ბრალდებული დაჰყვა ადვოკატის რჩევას, მოსამართლე ჩაეკითხა, ცნობდა თუ არა თავს

დამნაშავედ. ბრალდებულის პასუხში დანაშაულის ნიშნები კვლავ გამოირიცხა. ადვოკატი ისევ შეეცადა, ბრალდებულს ელიარებინა დანაშაული, რაზეც მოსამართლისგან შენიშვნა მიიღო. ამ შემთხვევაში, საზგასამელია მოსამართლის მართებული და დროული ქმედების მნიშვნელობა. საბოლოოდ, ბრალდებულმა არ აღიარა დანაშაული.

- ერთ შემთხვევაში, ადვოკატმა წინასწარ იცოდა ბრალდებულის პოზიცია იმის შესახებ, რომ ის არ აღიარებდა დანაშაულს და აპირებდა ჩვენების მიცემას. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არ მიუთითა ბრალდებული დასაკითხ პირთა სიაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულის დაკითხვა მთლიანად პროკურორის ნებაზე გახდა დამოკიდებული. თუკი პროკურორი მოხსნიდა ბრალდებულის დაკითხვის მოთხოვნას, ბრალდებულს ნაერთმეოდა უფლება და შესაძლებლობა, რომ სასამართლო სხდომაზე მიეცა ჩვენება. საიასთვის უცნობია, საბოლოო ჯამში, მოხდა თუ არა ბრალდებულის დაკითხვა.
- ერთ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვისას, ადვოკატებს მათთვის არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამთ და დაკითხვის დროსაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ადვოკატები საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას მოწმეთა ჩვენებებს. ასევე, პროცესის დაწყებამდე ბრალდებულმა ადვოკატებს უსაყვედურა, რომ მისთვის ციხეში არ შეუტანიათ ის დოკუმენტები, რომლებიც მან მოითხოვა. ბრალდებულმა განაცხადა, რომ უკმაყოფილო იყო ადვოკატების მუშაობით.
- ორ შემთხვევაში, გამოიკვეთა ადვოკატის გულგრილი დამოკიდებულება ბრალდებულის მიმართ:
 - ✓ სხდომაზე ბრალდებულმა მოითხოვა შეთანხმებით მოწვეული ადვოკატის აცილება, რადგან ის ერთი თვის განმავლობაში საპატიმრო დაწესებულებაში არ შესულა ბრალდებულის სანახავად. საპასუხოდ, ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი იყო შეუძლოდ, ხოლო ბრალდებულმა იცოდა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ბრალდებულმა მაინც მოითხოვა ადვოკატის აცილება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.
 - ✓ ადვოკატი იმ გამოცხადდა სხდომაზე, რადგან ის საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ამის შესახებ ადვოკატმა აცნობა სასამართლოს, თუმცა, ბრალდებულის განცხადებით, მისთვის ეს ფაქტი უცნობი იყო.

3. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით,²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით²⁶ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.²⁷ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა იცავს პირს წამებისა და დამამცირებელი მოპყრობისგან.

ამ უფლების განსახორციელებლად, ბრალდებული ნათლად უნდა იყოს ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ და ჰქონდეს არასათანადო მოპყრობის გამო საჩივრის შეტანის უფლება მიუკერძოებელ მოსამართლესთან. ეს, ლოგიკურად, სასამართლოსაც აკისრებს ვალდებულებას, რომ ბრალდებულს მიაწოდოს ინფორმაცია ამ უფლების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ბრალდებული იმყოფება პატიმრობაში და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან სრულ ფიზიკურ კონტროლს ექვემდებარება.

აქვე, საიას აუცილებლად მიაჩნია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხარვეზის აღნიშვნა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს მხოლოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ უფლებების განმარტება და არასათანადო მოპყრობის ამსახველი ფაქტების მოსმენა შეუძლია. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ პროცედურას, რომელიც უფლებათა დარღვევის სავარაუდო გამოვლენის დროს მოსამართლეს ქმედითი რეაგირების საშუალებას მისცემდა. ნაცვლად ამისა, მოსამართლეს მხოლოდ დეკლარაციულად შეუძლია იმის გამორკვევა, ჰქონდა თუ არა ადგილი არასათანადო მოპყრობას.

²⁵ საქართველოს კონსტიტუციის 17.2 მუხლის თანახმად: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივის და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“.

²⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას“.

²⁷ სსსკ მუხლი 4.2: „დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის [...] გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მესხიერებას ან აზროვნებაზე. [...]“

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად, საიამ გამოარკვია, რომ პირველი წარდგენის სხდომების ერთ მეოთხედში მოსამართლე ბრალდებულს არ განუმარტავდა ან სრულყოფილად არ განუმარტავდა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის უფლებას. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ, ძირითადად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე განმარტავდა აღნიშნულ უფლებას, განმარტება ნათელი და გასაგები იყო ბრალდებულისათვის.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- პირველი წარდგენის სხდომების 25%-ში (73-დან 18 შემთხვევა), მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება. პირველი წარდგენის სხდომების 14%-ში კი, მოსამართლეს არც კი უცდია გამოერკვია, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ასეთი საჩივარი.
- იმ სხდომების 82%-ში (209-დან 171 საქმე), სადაც მოსამართლეს ევალეზობდა ბრალდებულისათვის მისი უფლებების განმარტება, უფლებათა მხოლოდ ნაწილი განმარტა. თუმცა, იმ შემთხვევათა 93%-ში, სადაც მოსამართლემ განმარტა უფლებათა ნაწილი მაინც, საიას შეფასებით, ბრალდებულთათვის ეს უფლებები მეტ-ნაკლებად ნათელი და გასაგები გახდა.
- საპროცესო შეთანხმების 48%-ში (33 საქმე 69-დან), მოსამართლეებმა ბრალდებულს არ განუმარტეს, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.
- საპროცესო შეთანხმების სხდომათა 67%-ში (46 საქმე 69-დან), მოსამართლეებმა ბრალდებულს არ განუმარტეს, რომ საპროცესო შეთანხმების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია, რომელიც მან სასამართლოს მსვლელობისას გაამჟღავნა, არ შეიძლება მომავალში მის წინააღმდეგ ყოფილიყო გამოყენებული.
- 69 საქმიდან 12 შემთხვევაში (17%), სასამართლო ვერ უზრუნველყოფდა იმის გამორკვევას, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმება დადებული ძალადობის, ზეწოლის, მოტყუებისა და სხვა უკანონო დაპირების შედეგად. 69-დან 20 საქმე-

ში (29%) სასამართლომ ბრალდებულს არ მიაწოდა სრული ინფორმაცია მის უფლებაზე, რომ საპროცესო შეთანხმება უნდა დადებულიყო ძალადობის, ზენოლის და მოტყუების გარეშე. 69-დან 28 შემთხვევაში (40%) სასამართლომ არ გამოარკვია, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების საშუალება.

მონიტორინგის პერიოდში საიამ დააფიქსირა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის 2 კონკრეტული შემთხვევა:

- ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებული ბადრაგმა სხდომათა დარბაზში ხელით შემოიყვანა, რადგან მას წართმეული ჰქონდა ორივე ფეხი. ბრალდებულის განცხადებით, მას ეს დაზიანება პოლიციის შენობაში მიადგა. კერძოდ, თავის არეში მიყენებული დარტყმის შედეგად მას დაუზიანდა ნერვი, რის შემდეგაც წაერთვა ქვედა კიდურები. ამ შემთხვევაში, ხაზგასასმელია მოსამართლის შესაბამისი რეაგირება უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, კერძოდ, მოსამართლე დაინტერესდა, დაწყებული იყო თუ არა გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით და მკურნალობის როგორი პირობები ექნებოდა ბრალდებულს მომავალში. მოსამართლემ დაადგინა, რომ ფაქტის გამოძიება უკვე მიმდინარეობდა, ბრალდებულს კი, სამკურნალოდ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსებდნენ:

მოსამართლე: „ამაზე მიდის გამოძიება და აღძრულია საქმე?“

პროკურორი: „დიახ, მიდის გამოძიება და დაკითხულებიც არიან პირები [მოწმეები].“

მოსამართლე: „ადასტურებთ ამას? [რაც პროკურორმა თქვა]“

ბრალდებული: „კი.“

მოსამართლე: „იკურნება?“

ბრალდებული: „არ ვიცი, თავში გაქვს ნერვი დაზიანებული და იმიტომ გჭირსო.“

მოსამართლე: „გაქცევენ ციხეში ყურადღებას ხომ?“

ადვოკატი: „ციხის პირობებში ვერ უმკურნალებენ, საერთო პროფილის კლინიკა უნდა ამას, ჯერ ციხეს ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული ასეთთან.“

მოსამართლე: „მიაქციეთ მხარეებმა ყურადღება, გადაიყვანეთ

შესაბამის კლინიკაში.“

- არსებით სხდომაზე დაკითხვისას, მონმემ განაცხადა, რომ მას საქმის გარკვეული ეპიზოდები ახსოვდა, ნაწილი კი არა, რადგან მასზე მუდმივად მიმდინარეობდა ზენოლა ციხის თანამშრომლების მხრიდან: „სულ მცემდნენ, ერთხელ ძალიან მოუვიდათ [ჩემი ცემა], არ ვიცი რა მიიტყყეს, ფეხზე რომ დავიხედე, სისხლი მომდიოდა. სანამ საკანში ამიყვანდნენ, დამემუქრნენ და გამაფრთხილეს მეთქვა, რომ რომელიმე ბიჭმა მცემა საკანში, მაიძულეს [საკანში მყოფთაგან] ერთ-ერთისთვის დამებრალებინა“. ამის შემდეგ მონმემ ტირილი დაიწყო. მონმემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება არც ერთ ჩვენებას, რადგან მას, უბრალოდ, რაღაც ფურცლებზე მოანერინეს ხელი და არ იცის, იქ რა ეწერა. ამასთან აღნიშნა, რომ ასე მუქარის გამო მოიქცა. მონმემ აღიარა, რომ მინანერი „ჩვენებას ვეთანხმები“ და ხელმონერა მისია, თუმცა, ეს იძულებით გააკეთა. მისივე განცხადებით, იგი უბრალო გლეხი კაცია და არ ესმოდა, რას ეკითხებოდნენ. მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და გადადო სხდომა, რათა მონმეს საშუალება მისცემოდა, ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით, შესაბამის ორგანოებს კი – გამოეძიებინათ ფაქტი, რომელზეც მონმე საუბრობდა.

პირველ შემთხვევაში, მოსამართლემ გამოარკვია გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ავალდებულებს მოსამართლეს, გამოარკვიოს ინფორმაცია გამოძიების დაწყების ან შესაბამის ორგანოთა მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მეორე შემთხვევაში, მოსამართლე გასცდა კანონის ჩარჩოებს, ვინაიდან მონმის სასამართლო პროცესზე დაკითხვის დროს კანონი არ ითვალისწინებს ადვოკატით უზრუნველყოფის შესაძლებლობას. საია მიიჩნევს, რომ არსებული კანონმდებლობა საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მიმართულებით, რათა მოსამართლეს მიეცეს ამ კუთხით მოქმედების თავისუფლება პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის აღსაკვეთად.

4. მიუკერძოებლად საქმის განხილვის უფლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუკერძოებლად საქმის განხილვა ბრალდებულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა.

გამოვლენილი შედეგები

დადებითი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სასამართლო სხდომის დროს არ დაფიქსირებულა მოსამართლის მხრიდან ისეთი ქმედება, რაც პროცესის მონაწილე მხარეებზე აშკარა ზეწოლის ფაქტად შეიძლება მიჩნეულიყო. გარდა ამისა, მოსამართლის მიერ მხარისათვის მიცემული ინსტრუქციები ძირითადად ტექნიკური შინაარსის იყო და არანაირი კავშირი არ ჰქონია მის მიუკერძოებლობასთან. მოსამართლის მიუკერძოებლობა მხოლოდ 2 კონკრეტულ შემთხვევაში დადგა ეჭვქვეშ:

მიუკერძოებლად საქმის განხილვის უფლების დარღვევის ყველაზე მძიმე შემთხვევა, რომელიც საიას მიერ დაკვირვების შედეგად გამოვლინდა აღწერილია ქვემოთ, სპეციალურ ჩარჩოში.

მიუკერძოებლად საქმის განხილვის უფლების დარღვევა

ბრალდებულის პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ პირდაპირ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია და ბრალდებულს ჰკითხა: „რატომ ჩაიდინეთ დანაშაული?“

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში ჯერ წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულებები, მოსამართლემ აშკარად დააფიქსირა საკუთარი რწმენა, რომ ბრალდებული დანაშაულზე იყო შესაბამისად, მან დაარღვია ბრალდებულის უფლება საქმის მიუკერძოებლად განხილვის შესახებ.

მეორე შემთხვევაში, არსებითი განხილვის ეტაპზე, პროკურორმა დასვა მიმანიშნებელი შეკითხვა. ადვოკატმა პროტესტი გამოთქვა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და მიუთითა პროკურორს, რომ კითხვა სხვაგვარად დაესვა. მიუხედავად ამისა, პროკურორმა იგივენაირად დასვა შეკითხვა, მხოლოდ სიტყვები გადაანაცვლა. ამ ფაქტის გამო ადვოკატის შემდგომი პროტესტი მოსამართლემ აღარ დააკმაყოფილა.

საქმის მიუკერძოებლად განხილვის უფლებიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს გააცნოს მისი უფლე-

ბა მოსამართლის აცტილების მოთხოვნის შესახებ.²⁸ მიუხედავად ამისა, 209 საქმიდან, სადაც სასამართლოს ევალეობა ბრალდებულისათვის აღნიშნული უფლების შეტყობინება, სასამართლომ 11 შემთხვევაში (5%) არ შეასრულა თავისი ვალდებულება.

ამასთან, როგორც ანგარიშის პირველი თავში აღვნიშნეთ, სასამართლოს მიკერძოება პროკურატურის მიმართ გამოვლინდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას მიღებული გად-ანყვეტილებების სტატისტიკური ანალიზის შედეგად.

ასევე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი მონიტორინგის მანძილზე საიამ დააფიქსირა ერთი გამამართლებელი განაჩენის გამოტანა [იხილეთ ქვემოთ ჩარჩოში განთავსებული მაგალითი]. საიას მთელი მონიტორინგის მანძილზე დაფიქსირებული 11 განაჩენიდან, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოცხადდა.

პირველად დაფიქსირებული გამამართლებელი განაჩენი

ბრალდებულს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, იგი თავისი ავტომანქანით დაეჯახა ფეხით მოსიარულე მოქალაქეს, რის შედეგადაც მოქალაქე გარდაიცვალა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ბრალდების მხარემ პროცესზე ვერ წარმოადგინა ბრალდების დამადასტურებელი ვერც ერთი პირდაპირი მტკიცებულება და მოწმის პირდაპირი ჩვენება. ბრალდებამ წარმოადგინა მოწმის მხოლოდ ირიბი ჩვენება, რომელიც აცხადებდა, რომ დაინახა მინაზე დაგდებული მოქალაქე, თუმცა შეჯახების ფაქტს იგი ვერ ადასტურებდა. პროკურორმა ასევე წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ასევე ვერ ადასტურებდა ბრალდებულის ავტომანქანაზე შეჯახების რაიმე კვალს. საბოლოოდ, სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

²⁸ სსსკ, მუხლი 197.1 და მუხლი 38.14.

5. დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლიანი განხილვის უფლება არის ბრალდებულის საერთაშორისო დონეზე აღიარებული უფლება. აქედანვე გამომდინარეობს ბრალდებულის უფლება სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაზე.²⁹

გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შეფასების მიზნით, გარკვეული ტენდენციის გამოსაკვეთად, საიამ ასევე განახორციელა მონიტორინგი გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ფაქტებზე. საია მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის პროცესის ეს ასპექტი ცალკე კვლევის საგანია და სცდება აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებს. მართალია, ამ ეტაპზე საია საკითხის მხოლოდ მოკლე მიმოხილვას წარმოადგენს, თუმცა, ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია მაინც მნიშვნელოვანია საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების საილუსტრაციოდ.

ჩხრეკა და ამოღება პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედებაა. სწორედ ამიტომ ამ ღონისძიების ჩატარებაზე კანონი სასამართლო ზედამხედველობას ადგენს. ჩხრეკისა და ამოღების ყველა შუამდგომლობა უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე-120-ე მუხლებით მკაცრად არის განერილი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების წინაპირობები. კერძოდ, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად დანაშაულის მტკიცებულება იქნება მოპოვებული და, ასევე – მოსამართლის ნებართვა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია ნებადართული ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება მოსამართლის ნებართვის გარეშე – როდესაც სახეზეა მისი ჩატარების მყისიერი აუცილებლობა. ამ შემთხვევაშიც კი, იგი მოგვიანებით მოსამართლის მიერ მოწმდება, რომელიც ან აკანონებს ჩატარებულ ღონისძიებას ან აუქმებს მას.

²⁹ სსსკ, მუხლი 194.2 ადგენს, რომ „სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“.

გამოვლენილი შედეგები

როგორც აღკვეთის ღონისძიებების თავში აღვნიშნეთ, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სასამართლო ხშირად არღვევდა დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას. აღნიშნული უფლების ამკარა დარღვევები საიამ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებასთან კავშირშიც დააფიქსირა.

დადგინდა, რომ თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის შემდგომი დაკანონებით. კერძოდ, ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების 42 შემთხვევიდან მხოლოდ 3 ღონისძიება ჩატარდა სასამართლოს ნებართვით, დანარჩენი 39 (93%) ღონისძიების დაკანონება კი, სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა.

საია, მონიტორინგის ფარგლებში, მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეესწავლა აღნიშნული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, ვინაიდან ამ საკითხის განხილვა არ ხდება ღია სასამართლო სხდომებზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები გონივრულ ეჭვებს აჩენს სასამართლოს და სამართალდამცავი ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილებების **Bona Fide** შესრულების მიმართ, რომ ჩხრეკა და ამოღება არ ჩატარდეს ან არ დაკანონდეს იმ შემთხვევაში, თუკი მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული:

- ვინაიდან ჩხრეკა და ამოღება ინდივიდის პირად ცხოვრებაში ჩამრევი ღონისძიებაა, სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაბამისი წინდახედულების ზომები უნდა გამოავლინონ ამ ღონისძიებათა ჩატარებამდე. ის ფაქტი, რომ, სტატისტიკურად, მათ შემთხვევათა მხოლოდ 7%-ში მიმართეს სასამართლოს წინასწარ ნებართვის მისაღებად, ავლენს მათ არაწინდახედულ დამოკიდებულებას ინდივიდის პირადი ცხოვრების მიმართ და საპროცესო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.
- მოსამართლემ შემთხვევათა 100%-ში დააკმაყოფილა შუამდგომლობა უკვე ჩატარებული ღონისძიების დაკანონების ან წინასწარი ნებართვის გაცემის შესახებ. ეს ავლენს სასამართლოს გულგრილ და რუტინულ დამოკიდებულებას ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიების მიმართ, რაც, თავის მხრივ, საბოლოოდ, ინდივიდის უფლებების დარღვევაში ვლინდება.

6. საჯარო განხილვის უფლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმის საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულისა და თავად საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც დაცულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული უფლებით სრულყოფილად სარგებლობისათვის სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის განხილვის იმგვარი წარმართვა, რომ საზოგადოების წარმომადგენლის დასწრების შემთხვევაში, მისთვის გასაგები და ალქმადი იყოს პროცესის მიმდინარეობა. სასამართლომ, აგრეთვე, საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც მოიცავს სასჯელს, შესაბამის კანონმდებლობას, რომელსაც გადანყვეტილება ეფუძნება და ბრალდებულის უფლებას გადანყვეტილების გასაჩივრებაზე.³⁰

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო სხდომები, ზოგადად, იყო საჯარო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო სასამართლო სხდომაზე დასწრება. გამონაკლის შემთხვევებში, სხდომათა დარბაზის სიმცირის გამო, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებდა სხდომათა დარბაზში შესვლას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, დამსწრეთა მაღალი დაინტერესების გამო, ერთი არსებითი განხილვის სხდომის გადატანა მოხდა უფრო დიდ დარბაზში, რათა ყველა დაინტერესებულ პირის ჰქონოდა სხდომაზე დასწრების საშუალება. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა იმ სხდომაზე, სადაც შემაჯამებელი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი, მოსამართლემ იგი საჯაროდ გამოაქვეყნა.

ამის საპირისპიროდ, საიამ აგრეთვე დააფიქსირა:


- სასამართლომ სხდომათა საკმაოდ დიდ რაოდენობაზე ვერ უზრუნველყო სასამართლო სხდომის თარიღისა და დროის გამოქვეყნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შეეხებოდა პირველი წარდგენის ყველა სხდომას.

³⁰ სსსკ-ს მუხლი 277.1 ადგენს, რომ „განაჩენი დგინდება სხდომის დარბაზში ან სათათბირო ოთახში, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს“. მუხლი 277.3 ადგენს, რომ „სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს...“.

- დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც გამოქვეყნებული ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ არასრული ან მცდარი იყო. მაგალითად, განცხადება არ შეიცავდა ცნობებს სსკ-ის ყველა იმ მუხლის შესახებ, რომლებიც ბრალდებულს ჰქონდა ნაყენებული, ან არასწორად იყო მითითებული სხდომის ჩასატარებელი დრო ან/და დარბაზი.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, მოსამართლეებისა და პროცესის სხვა მონაწილეების მხრიდან ხმადაბალი და დამსწრეთათვის გაუგებარი საუბრის შემთხვევები დაფიქსირა. ერთ-ერთ საქმეზე საიას მონიტორმა ვერც ერთი სიტყვის დაფიქსირება ვერ შეძლო, რადგან სხდომა დიდ დარბაზში ტარდებოდა, მიკროფონები კი გამორთული იყო.

საიას მიერ განხორციელებული დაკვირვების შედეგები მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- 424-დან (4 სხდომა დაიხურა) 14 შემთხვევაში (3%), დარბაზის სიმციროს გამო, ბრალდებულის ახლოობებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა ვერ შეძლეს სხდომაზე დასწრება.
- 354-დან 158 შემთხვევაში, სასამართლო სხდომის (45%) ჩატარების დროისა და თარიღის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გამოქვეყნებულა; აქედან 74 პირველი ნარდგენის სხდომაა და 84 – სხვა დანარჩენი სხდომა.



- ერთ შემთხვევაში, რამდენიმე საათის მანძილზე სასამართლოში საერთოდ გათიშული იყო სხდომების გამო-საქვეყნებელი მონიტორი. სხვა შემთხვევაში კი, არ მუშაობდა საქალაქო სასამართლოს საიტი, რაც შეუძლებელს ხდიდა არათუ ცალკეული, არამედ, საერთოდ, რომელიმე პროცესის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებას. საიტი მხოლოდ დღის მეორე ნახევარში ამუშავდა.
- წინასწარ გამოქვეყნებული 270 სასამართლო სხდომიდან (71 წინა სასამართლო სხდომა, 154 არსებითი სხდომა და 45 სხდომა, რომელზეც საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა) 18 საქმეზე (17%) არასრული ან მცდარი ინფორმაცია იყო წარმოდგენილი. ამ პრობლემების გამო, საიას მონიტორებმა ვერ შეძლეს 5 განსაკუთრებით საინტერესო სხდომაზე დასწრება.
- 427-იდან 15 სხდომაზე (3.5%) მოსამართლე ხმადაბლა და დამსწრეთათვის გაურკვეველად საუბრობდა.
- ერთ შემთხვევაში, პროკურორი საუბრობდა დამსწრეთათვის გაურკვეველად და ხმადაბლა, რის გამოც დარბაზში დამსწრე ერთ-ერთმა პირმა გამოთქვა პრეტენზია. მოსამართლემ აღნიშნული პირი გააფრთხილა, რომ პროცესის განმეორების შემთხვევაში დარბაზიდან გააძევებდა, ხოლო პროკურორს არ მიუთითა, რომ უფრო ხმამაღლა და გარკვევით ესაუბრა.
- 427 სხდომიდან 28 შემთხვევაში (6.5%) გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული სმენადობის პრობლემა. კერძოდ, დარბაზებში გამორთული იყო მიკროფონები (21 სხდომაზე), ამასთან, სხდომის დარბაზის კარი ღია იყო და გარედან ხმაური შემოდის (7 სხდომაზე).
- 73 სხდომაზე, სადაც შემაჯამებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული (69 შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება დაიდო, ხოლო 4 საქმე არსებითი განხილვის შედეგად დასრულდა განაჩენით), მხოლოდ 2 შემთხვევაში არ გამოცხადებულა საბოლოო გადაწყვეტილება საჯაროდ. ორივე შემთხვევაში დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. მოსამართლემ მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება გამოაცხადა და ისე დატოვა დარბაზი, რომ განაჩენი სრულად არ გამოუცხადებია.
- საქმეთა 48%-ში (35 საქმე 73-დან³¹), სადაც სასამართლომ

³¹ ეს მონაცემი მოიცავს ოთხივე სხდომას, სადაც განაჩენი გამოვიდა და 69 სხდომას, სადაც საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა.

საჯაროდ გამოაცხადა განაჩენი, მან არ მიუთითა კანონის შესაბამისი მუხლები.

7. თარჯიმნის ყოლის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია,³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი³³ და საერთაშორისო კონვენციები, რომლის მონაწილე მხარეც საქართველოა,³⁴ ითვალისწინებენ, რომ თუ პიროვნებამ არ იცის სამართალწარმოების ენა, მან უნდა ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის განმავლობაში საია დააკვირდა 13 მოსმენას, სადაც სავალდებულო იყო თარჯიმნის მონაწილეობა. პირველი წარდგენის 3 სხდომაზე დაირღვა ბრალდებულის უფლება თარჯიმნის მომსახურებაზე. კერძოდ, მონვეული თარჯიმნები არაკვალიფიციურად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას:

- პირველ შემთხვევაში, მონვეული იყო რუსული ენის თარჯიმანი, რომელიც მხოლოდ მოსამართლის მითითებით უთარგმნიდა ბრალდებულს. ამასთან, მას უჭირდა საჭირო სიტყვების მოძებნა, მაგალითად, ვერ თარგმნიდა ტერმინს – „ა“ ქვეპუნქტი.
- მეორე შემთხვევაშიც, რუსული ენის თარჯიმანი ძალიან ჩუმად და მოკლედ უთარგმნიდა ბრალდებულს. რამდენიმე შემთხვევაში, მას მოსამართლის შეხსენებაც კი დასჭირდა, რომ ეთარგმნა ბრალდებულისთვის, მანამდე კი, საერთოდ დუმდა.

³² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.2: „სამართალწარმოება უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი“.

³³ სსს-ს მუხლი 38.8: ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. [...]“.

³⁴ აღმაინის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.3: „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი: [...] ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო.“

- მესამე შემთხვევაშიც, თარჯიმანი მხოლოდ ნაწილობრივ უთარგმნიდა ბრალდებულს იმას, რაც სრულად უნდა გადაეთარგმნა.

8. თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება ადამიანს იცავს თვითნებური და უსამართლო თავისუფლების აღკვეთისაგან. ეს უფლება გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

გამოვლენილი შედეგები

ზემოთ მოხსენიებული აღკვეთის ღონისძიების სხდომების გარდა, ამ უფლების სავარაუდო დარღვევა კიდევ ერთ საქმეში დაფიქსირდა. არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ არ განიხილა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ (პატიმრობის გირაოთი შეცვლის შესახებ) იმ მოტივით, რომ კანონი მას ამის საშუალებას არ აძლევდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით დადგენილია აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესაძლებლობა და ამ საკითხის განხილვა დასაშვებია როგორც წინასასამართლო სხდომაზე, ასევე საქმის არსებითი განხილვისას.³⁵

9. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

მონიტორინგის პერიოდში, 354-დან 228 შემთხვევაში (64%), სხდომის დაწყება 5 წუთზე მეტი ხნით დაგვიანდა:³⁶

- 228-დან 63 შემთხვევაში (28%) მოსამართლემ დაიგვიანა;
- 228-დან 49 შემთხვევაში (21%) ბრალდებულმა დაიგვიანა;
- 228-დან 23 შემთხვევაში (10%) იმავე სხდომის დარბაზში სხვა სხდომა გაგრძელდა;
- 228-დან 19 შემთხვევაში (8%) ადვოკატმა დაიგვიანა;

³⁵ სსსკ-ის მუხლი 206.

³⁶ სამ შემთხვევაში პროცესის დაგვიანების არა ერთი, არამედ ორი მიზეზი გამოვლინდა, ამიტომ დაგვიანებების მიზეზთა ჯამი, დაგვიანებულ სხდომათა რაოდენობაზე 3-ით მეტია.

- 228-დან 16 შემთხვევაში (7%) პროკურორმა დაიგვიანა;
- დანარჩენ 24 (11%) შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი სხვადასხვა იყო.

მაქსიმალური დაგვიანება ერთ-ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე დაფიქსირდა, რომელიც დადგენილი დროიდან 120 წუთით გვიან დაიწყო.

დასკვნა

აღნიშნული ანგარიში საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ გარკვეულ დადებით თუ უარყოფით ტენდენციებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამასთან, ახალ საანგარიშო პერიოდს დეკემბრის თვეში დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მონიტორინგის შედეგებიც. თუმცა, საგულისხმოა, რომ დროის მოკლე მონაკვეთის გამო, აღნიშნული ანგარიში ძალიან მცირე დოზით მოიცავს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მონიტორინგის მონაცემებს და მასში მოცემული დასკვნები მეტწილად თბილისის საქალაქო სასამართლოს შედეგებზეა დაფუძნებული.

ბოლო ექვსთვიანი მონიტორინგის განმავლობაში საიას აღმოჩენები არსებითად არ განსხვავდებოდა მონიტორინგის დასაწყისიდან შეგროვებული ინფორმაციისგან. თუმცა, ბოლო მონიტორინგის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც შეინიშნებოდა. ამ ცვლილებათა უმეტესობა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საქმეებში დაფიქსირდა. ჯერ კიდევ შესაფასებელია, აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს სასამართლოს დამოკიდებულების ზოგად ცვლილებას 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თუ ეს მხოლოდ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საქმეებს შეეხება.

საიას პირველხარისხოვანი დაკვირვების შედეგები ასეთია:

- წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლო კვლავ მხოლოდ 2 სახის აღკვეთის ღონისძიებას იყენებდა: გირაოს და პატიმრობას. აღკვეთის ღონისძიება ხშირად საქმის გარემოებებთან მიმართებით არაპროპორციული და დაუსაბუთებელი იყო, ან მისი შეფარდება ბრალდებულის მდგომარეობის გამორკვევის გარეშე ხდებოდა.
- უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო აკმაყოფილებდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროკურორ-

ის შუამდგომლობას. თუმცა, წინა პერიოდისგან განსხვავებით, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, სადაც პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ამასთან, წინა პერიოდების მსგავსად, პროკურორი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ასაბუთებდა სხვა, ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობას.

- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლომ არც ერთი პირველი წარდგენის სხდომის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გამოუქვეყნებია.
- საანგარიშო პერიოდის მანძილზე, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის 74-ვე შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ 9 მათგანს დაცვის მხარე ეწინააღმდეგებოდა. მონიტორინგის წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, სასამართლომ აგრეთვე დააკმაყოფილა დაცვის 22-ვე შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ მათგანს პროკურორი არ ეთანხმებოდა.
- საიამ დააფიქსირა უცვლელი ტენდენცია უკლებლივ ყველა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას. მოსამართლეებს კვლავ ძირითადად ფორმალური როლი ჰქონდათ შეთანხმების დამტკიცებაში.
- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, არსებითი განხილვის უმეტესობაში დაცული იყო შეჯიბრებითობის პრინციპი და მონშემების დაკითხვა ძირითადად მოსამართლის ჩარევის გარეშე ხდებოდა. ამასთან, მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, მხარეთა აქტიურობის თვალსაზრისით, ბრალდების მხარე კვლავ უფრო მეტად აქტიურობდა.
- სხდომათა უმრავლესობაში უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლება. თუმცა, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლეები კვლავ არასრულად განმარტავდნენ ბრალდებულის უფლებებს.
- დადებითი კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სხდომაზე მოსამართლის ქცევა არ ყოფილა რომელიმე მხარისათვის დამამინებელი ან ზენოლის გამომხატველი.
- სასამართლომ დააკანონა ჩხრეკისა და ამოღების ყველა შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მათგანი ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში.
- იმ საქმეთა უმრავლესობაში, სადაც შემაჯამებელი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი, საქმის არსებითი განხ-

ილვისა თუ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემდეგ, სასამართლომ საჯაროდ გამოაცხადა თავისი განწყვეტილება. თუმცა, საქმეთა თითქმის ნახევარში სასამართლომ არ მიუთითა შესაბამისი კანონმდებლობა გადაწყვეტილების გამოცხადებისას. აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისიდან საიას მიერ პირველად დაფიქსირდა სასამართლოს მიერ ერთი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ფაქტი.

- მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე სასამართლოს შეფერხებით მუშაობის არაერთი შემთხვევა, რაც, შესაძლოა, სასამართლოს ადმინისტრაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე მიუთითებდეს. კერძოდ, იმ პროცესების 64%, რომლებსაც საია აკვირდებოდა, დაგვიანებით დაიწყო.

რეკომენდაციები

სასამართლო მონიტორინგის დასაწყისიდან 1 წლის მანძილზე მოპოვებული, ობიექტურ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციისა და გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე, საიამ მოამზადა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც, ვფიქრობთ, გაზრდის სასამართლოს გამჭვირვალობას, საზოგადოების ნდობას მის მიმართ და დადებითად აისახება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეპუტაციაზე:

1. უკეთესი იქნება, თუკი სასამართლო ფართოდ ისარგებლებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული დისკრეციით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ეტაპზე და, პატიმრობისა და გირაოს გარდა, სხვა, ნაკლებად მძიმე და არანაკლებ ეფექტურ ღონისძიებებს გამოიყენებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევაში.
2. ყოველი აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის სიმძიმე, სავარაუდო სასჯელი, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა გარემოება, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული არაპროპორციული ღონისძიებების გამოყენება.
3. სასამართლომ პროკურორს უნდა დააკისროს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შესაბამისობის მტკიცების ტვირთი, რათა არ მოხდეს ადამიანის თავისუფლების თვითნებური და უკანონო შეზღუდვა.

4. საჯარო განხილვის უფლების უკეთ უზრუნველსაყოფად სასამართლომ საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, მათ შორის პირველი წარდგენის სხდომებზე, წინასწარ უნდა გამოაქვეყნოს ზუსტი და სრულყოფილი მონაცემები.
5. საპროცესო შეთანხმებების დამტკიცებისას, უმნიშვნელოვანესია, რომ მოსამართლემ ითამაშოს სათანადო როლი პიროვნების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, დასვას კითხვები საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, დარწმუნდეს სასჯელის პროპორციულობასა და კანონიერებაში. მოსამართლემ ასევე უნდა დაადგინოს, ხომ არ არის საპროცესო შეთანხმება დადებული იძულების ან დაშინების შედეგად. ამასთან საკანონმდებლო დონეზე, აუცილებელია გაიზარდოს მოსამართლის როლი საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას, კერძოდ მოსამართლეს მიენიჭოს უფლება, მხარეებს შესთავაზოს შეცვლილი პირობებით საპროცესო შეთანხმების დადება არა მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე, არამედ საქმის განხილვის ყველა იმ სტადიაზე, სადაც სამართლებრივად შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.
6. მოწმეთა დაკითხვისას, მოსამართლემ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისამებრ, მხარეებისგან წინასწარ უნდა აიღოს კითხვის დასმის ნებართვა. ამასთან, მან მკაცრად უნდა დაცვას ნეიტრალური როლი და არ შეიჭრას არც ერთი მხარის კომპეტენციაში.
7. მოსამართლემ ყველა შესაბამის ეტაპზე სრულყოფილად და გასაგებად უნდა განმარტოს ბრალდებულის ყველა უფლება.
8. შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და საჯაროდ გამოცხადებისას, მოსამართლემ ყოველთვის უნდა მიუთითოს შესაბამისი კანონმდებლობა.
9. სასამართლომ ყველა შესაბამის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის ყოლის უფლებით სარგებლობა. თარჯიმნის სხდომაზე დასწრება აპრიორი არ უნდა ნიშნავდეს უფლებით სრულყოფილად სარგებლობას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ უზრუნველყოს თარჯიმნის კვალიფიციური მუშაობა.

10. საქმის გონივრულ ვადაში და შეუფერხებლად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ მაქსიმალურად უნდა შეამციროს პროცესების დაგვიანებით დანყება.
11. მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დასაცავად, მნიშვნელოვანია თავად მხარეთა ჩართულობა. სწორედ ამიტომ, უკეთესი იქნება, თუკი დაცვის მხარე იქნება მეტად აქტიური და ჩართული საქმის განხილვის ყველა სტადიაზე და მაქსიმალურად ეცდება მის ხელთ არსებული ყველა რესურსით თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დაცვას. ეს განსაკუთრებით გამოიხატება მტკიცებულებების მოგროვებასა და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სადავოდ გახდაში.
12. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამის შემთხვევებში გამოიყენოს სამოსამართლეო სამართლის მიდგომა და არ შეიზღუდოს კანონის ფორმალური ჩარჩოებით, თუ ეს პირის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლემ იმგვარად უნდა განმარტოს კანონი, რომ ის სამართლიანად და მართებულად იქნეს გამოყენებული ბრალდებულის მიმართ.
13. აუცილებელია, კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, არასათანადო მოპყრობასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, მოსამართლის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ. კერძოდ, მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, მოსთხოვოს გამოძიების ორგანოს ყოველი არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება. არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის მნიშვნელოვანი პროცედურის არარსებობა სერიოზულ ზიანს აყენებს თავად არასათანადო მოპყრობის აკრძალვის უფლებას და ახალისებს ბრალდებულთა უფლებების პოტენციურ დარღვევებს.

დანართი 30

სასამართლოში პირველი წარდგენა — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 74

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	74	100%
კი	0	0%
არა	74	100%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	74	100%
კი	74	100%
არა	0	0%
მოსამართლე დარბაზისთვის ნათლად და გასაგებად საუბრობდა?	74	100%
კი	66	89.0%
არა	8	11%
ვინმემ განაცხადა, რომ ნათელი ან გასაგები არ იყო მოსამართლის საუბარი (მხოლოდ 8 შემთხვევაში იყო მოსამართლის საუბარი გაუგებარი)?	8	100%
კი	1	12.5%
არა	7	87.5%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	74	100%
კი	69	93%
არა (აქედან 1 სხდომა დაიხურა)	5	7%
მოსამართლემ/სხდომის მდივანმა გამოაცხადა მხარეთა ვინაობა?	74	100%
კი	73	97%
არა	0	0%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება რადგან პროცესი დაიხურა	1	1%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულს მოსამართლის/სხდომის მდივნის აცილების უფლება?	74	100%
კი	67	90%
არა	5	7%

მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (აქედან 1 პროცესი დაიხურა)	2	3%
მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა?	74	100%
კი	12	16%
არა	61	82%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება რადგან პროცესი დაიხურა	1	1%
ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო?	74	100%
კი	65	88%
არა	7	9%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (აქედან 1 პროცესი დაიხურა)	2	3%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამამინებელი ან არაფორმალური?	74	100%
კი	0	0%
არა	73	99%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება რადგან პროცესი დაიხურა	1	1%
რაიმე ინსტრუქცია მისცა მოსამართლემ რომელიმე მხარეს?	74	100%
კი	3	4%
არა	70	95%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება რადგან პროცესი დაიხურა	1	1%
რომელ მხარეს (ერთმა მოსამართლემ ორივე მხარეს მისცა ინსტრუქცია)?	3	100%
დაცვას	3	100%
ბრალდებას	1	33%
ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა რაიმე ხომ არ მიუთითებდა მოსამართლის მიკერძოებაზე?	74	100%
კი	0	0%
არა	73	99%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება, რადგან პროცესი დაიხურა	1	1%
ადვოკატი ესწრებოდა სხდომას?	74	100%

კი	49	66%
არა	25	34%
საჭიროების შემთხვევაში, მონვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)	74	100%
კი	7	9%
არა	0	0%
თარჯიმნის მონვევა არ იყო საჭირო	66	89%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება რადგან პროცესი დაიხურა	1	1%
შერჩეული აღკვეთის ღონისძიება (დასწრებულ სხდომებზე სასამართლომ მთლიანობაში 98 ბრალდებულს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება)	98	100%
გირაო	62	63%
პატიმრობა	36	37%
პირადი თავდებობა	0	0%
სათანადო ქცევის და გაუსვლელიობის შესახებ შეთანხმება	0	0%
სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	0	0%
მოსამართლემ აცნობა ბრალდებულს არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის უფლების თაობაზე?	74	100%
კი	54	73%
არა	18	24%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (აქედან 1 სხდომა დაიხურა)	2	3%
მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა მას რაიმე საჩივარი უფლებათა დარღვევის შესახებ?	74	100%
კი	62	84%
არა	10	13%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (აქედან 1 სხდომა დაიხურა)	2	3%

წინა სასამართლო სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 78

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	78	100%
კი	71	91%
არა	7	9%
მოსამართლე დარბაზისთვის ნათლად და გასაგებად საუბრობდა?	78	100%
კი	78	100%
არა	0	0%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	78	100%
კი	76	97%
არა	2	3%
საჭიროების შემთხვევაში მონვეული იყო თარჯიმანი? (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს, რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)	78	100%
კი	7	9%
არა	0	0%
თარჯიმნის მონვევა არ იყო საჭირო	71	91%
მოსამართლემ/სხდომის მდივანმა გამოაცხადა მხარეთა ვინაობა?	78	100%
კი	66	85%
არა	12	15%
მოსამართლემ აცნობა და განუმარტა ბრალდებულს მოსამართლის აცილების უფლება?	78	100%
კი	72	92%
არა	2	3%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	4	5%
მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა?	78	100%
კი	6	8%

არა	68	87%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	4	5%
ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო?	78	100%
კი	72	92%
არა	2	3%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება (სხდომა გადაიდო; ბრალდებული არ ესწრებოდა)	4	5%
პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ (4 სხდომა გადაიდო)?	74	100%
კი	74	100%
არა	0	0%
შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?		
კი	74	100%
არა	0	0%
დაცვამ დაუჭირა მხარი?		
კი	65	88%
არა	9	12%
ჩხრეკისა და ამოღების შემთხვევებში	42	100%
ლონისძიება ჩატარდა სასამართლოს ნებართვით	3	7%
ჩატარებულის დაკანონება მოგვიანებით მოხდა სასამართლოს მიერ	39	93%
დაცვამ წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ (4 სხდომა გადაიდო)?	74	100%
კი	22	30%
არა	52	70%
შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?	22	100%
კი	22	100%
არა	0	0%
ბრალდებამ დაუჭირა მხარი?	22	100%
კი	21	95%
არა	1	5%

დაკმაყოფილდა პროკურორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხსა?	74	100%
სრულად	72	97%
ნაწილობრივ	2	3%
არ დაკმაყოფილდა	0	0%
დაკმაყოფილდა დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხსა?	22	100%
სრულად	22	100%
ნაწილობრივ	0	0%
არ დაკმაყოფილდა	0	0%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი ან არაფორმალური?	78	100%
კი	1	1%
არა	77	99%
რაიმე ინსტრუქცია მისცა მოსამართლემ რომელიმე მხარეს?	78	100%
კი	5	6%
არა	73	94%
რომელ მხარეს? (ერთმა მოსამართლემ ორივე მხარეს მისცა ინსტრუქცია)	5	100%
დაცვას	4	80%
ბრალდებას	2	40%

არსებითი განხილვის სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 207

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	207	100%
კი	154	74%
არა	53	26%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	207	100%
კი	196	94%
არა	10	5%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	1	1%
მოსამართლე დარბაზისთვის ნათლად და გასაგებად საუბრობდა?	207	100%
კი	202	97%
არა	4	2%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	1	1%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება (სამი სხდომა დაიხურა ³⁷)?	204	100%
კი	198	97%
არა	6	3%
საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი (3 სხდომა დაიხურა) თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)?	204	100%
კი	2	1%
არა	0	0%
თარჯიმნის მოწვევა არ იყო აუცილებელი	202	99%
მოსამართლემ/სხდომის მდივანმა გამოაცხადა მხარეთა ვინაობა (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 35 განხილვაზე, რომელიც არსებითი განხილვის ეტაპის პირველი სხდომა იყო)?	35	100%

³⁷ აქედან 1 სხდომა თავიდანვე დახურული იყო, რადგან არასრულწლოვნის საქმე განიხილებოდა, 2 სხდომა კი პროცესის მიმდინარეობისას დაიხურა, მხოლოდ გარკვეული ნაწილი.

კი	35	100%
არა	0	0%
გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 4 შემთხვევაში)?	4	100%
კი	4	100%
არა	0	0%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის აცილების უფლება (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 35 შემთხვევაში)?	35	100%
კი	31	88.5%
არა	3	8.5%
სხდომა გადაიდო	1	3%
მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 35 შემთხვევაში)?	35	100%
კი	11	31%
არა	22	63%
სხდომა გადაიდო	2	6%
ბრალდებულისათვის განმარტებული უფლებები მისთვის ნათელი და გასაგები იყო (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 35 შემთხვევაში)?	35	100%
კი	33	94%
არა	0	0%
სხდომა გადაიდო	2	6%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი ან არაფორმალური (1 სხდომა დახურული იყო)?	206	100%
კი	3	2%
არა	203	98%
მონმეები იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში დაკითხვამდე (ბრალდებულთა გამოკლებით, რომლებიც ესწრებიან სხდომას)?	50	100%
კი	0	0%
არა	50	100%

მოსამართლემ დაუსვა კითხვები მონმეებს რომელიმე მხარის სახელით (ბრალდებულთა და ექსპერტთა ჩათვლით; ეს ციფრი აღნიშნავს იმ სხდომათა რაოდენობას, რომლებზეც დაიკითხნენ მონმეები და არა მონმეთა საერთო რაოდენობას)?	64	100%
კი	11	17%
არა	53	83%
რომელი მხარის სახელით?	11	100%
ბრალდების სახელით	2	18%
დაცვის სახელით	2	18%
ორივეს სახელით	7	63%
რაიმე ინსტრუქცია მისცა მოსამართლემ რომელიმე მხარეს (1 სხდომა დაიხურა)?	206	100%
კი	17	8%
არა	189	92%
რომელ მხარეს?	17	100%
ბრალდებას	6	35%
დაცვას	10	58%
ორივეს	1	5%

საპროცესო შეთანხმებები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 69

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	69	100%
კი	45	65%
არა	24	35%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	69	100%
კი	67	97%
არა	2	3%
მოსამართლე დარბაზისთვის ნათლად და გასაგებად საუბრობდა?	69	100%
კი	66	96%
არა	3	4%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	69	100%
კი	66	96%
არა	3	4%
საჭიროების შემთხვევაში მონვეული იყო თარჯიმანი (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)?	69	100%
კი	3	4%
არა	0	0%
თარჯიმნის მონვევა არ იყო აუცილებელი	66	96%
მოსამართლემ აცნობა და განუმარტა ბრალდებულს მოსამართლის აცილების უფლება (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 27 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)?	27	100%
კი	26	96%
არა	1	4%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი ან არაფორმალური?	69	100%
კი	0	0%

არა	69	100%
მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას?	69	100%
კი	36	52%
არა	33	48%
მოსამართლემ ბრალდებულს ყველა უფლება განუმარტა (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 27 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)?	27	100%
კი	7	26%
არა	20	74%
ბრალდებულისათვის უფლებების განმარტება ნათელი და გასაგები იყო (ეს შეკითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 27 შემთხვევაში, როდესაც პირველად გაიხსნა სხდომა)?	27	100%
კი	25	92%
არა	2	7%
რაიმე ინსტრუქცია მისცა მოსამართლემ რომელიმე მხარეს?	69	100%
კი	3	4%
არა	66	96%
რომელ მხარეს?	3	100%
დაცვას	1	33%
ბრალდებას	2	67%